



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინა ძულიაშვილი, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:

მაია აბდელანი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ლია ბოგვერაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ინგა მოსიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო თამარაშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნანა ჩილინგარაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მაკა აფრიაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მარიამი ღუბელაძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ლალი აბულაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

თამარ ზედგენიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მაკა ნატროშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216317359

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი; მე- 20 მიკრო რაიონი
საფოსტო ინდექსი	3700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4c8z2zf
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	rustavi25@mes.gov.ge



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	<u>0341279331</u>
--	--------------------------

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 03/09/2024 MES 3 24 0001054200 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 26 -27 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. რუსთავი; მე-20 მიკრორაიონი 1 (ერთი) ძირითადი შენობა-ნაგებობა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. რუსთავი; მე-20 მიკრორაიონი 1 (ერთი) ძირითადი შენობა-ნაგებობა
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. რუსთავი; მე-20 მიკრორაიონი 1 (ერთი) ძირითადი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ- ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26-27 სექტემბერს. ვიზიტამდე დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების კითხვარზე დართული დოკუმენტაცია; ვადების დაცვით გამოგზავნა ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დამატებითი მტკიცებულებები , რამაც ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მისცა გაცნობოდა აღნიშნულ დოკუმენტაციას.

სსიპ - ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს გადმოგზავნილი მასალები. შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსიპ-ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივმა ექსპერტებმა მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან, ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი, იმოქმედეს შეთანხმებულად.



VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება



	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)



1400 მოსწავლე	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	
---------------	--	--

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 04.12.2014 მოახდინოს სკოლის სამედიცინო კაბინეტის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან	სასურველია, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.



	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სასურველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის თანახმად, სკოლაში დასაქმდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	✓ უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე, სასურველია თემის ფარგლებში მიმდინარე აქტივობები/სამუშაო პროცესი შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); ✓ უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ იქნას რუბრიკები საშინაო დავალების და საკლასო შეფასებისთვის, რომელიც თანხვედრაში იქნება საგნობრივი სტანდარტის შეფასების ინდიკატორებთან.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში სასურველია შუალედურ მიზნებში შემოქმედებითი ტიპის დავალებების მთლიანი პირობითი ნაცვლად ჩაიწეროს იდეა, რომელშიც გამოიკვეთება ის პროდუქტი, რასაც მოსწავლე შექმნის.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში კათედრამ ცალკე დოკუმენტებად წარმოადგინა დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები და სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული დავალებების ნიმუშები, სასურველია დიფერენცირება ასევე ჩანდეს დაგეგმილ შუალედურ მიზნებშიც.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა



ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	✓ უცხოური ენების საბაზო საფეხურზე, სასურველია თემის ფარგლებში მიმდინარე აქტივობები/სამუშაო პროცესი შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); ✓ უცხოური ენების საბაზო საფეხურზე სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ იქნას რუბრიკები საშინაო დავალების და საკლასო შეფასებისთვის, რომელიც თანხვედრაში იქნება საგნობრივი სტანდარტის შეფასების ინდიკატორებთან.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერების საბაზო საფეხურზე პროექტების დაგეგმვისას სასურველია: პროექტს ჰქონდეს მიზნიდან გამომდინარე ამოცანები. ამოცანების შესაბამისი აქტივობები. პროექტში ჩართოთ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, სასკოლო საზოგადოება (მშობლები, პედაგოგები) ითანამშრომლოთ დაინტერესებულ მხარეებთან (ფსიქოლოგი, ექიმი და ა.შ). სასურველია გამოიყენოთ ინტერდისციპლინური მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის ტრანსფერს. ინტეგრირებული პროექტის განხორციელებისათვის სასურველია: მკაფიოდ ჩანდეს ინტეგრირებული საგნების მისაღწევი მიზნები. დაგეგმილი აქტივობები გამოდიოდეს მიზნიდან და ამოცანებიდან. დეკლარატიულ ცოდნასთან ერთად იძლეოდეს პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღწევას.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის	✓ უცხოური ენების საშუალო საფეხურზე, სასურველია თემის ფარგლებში მიმდინარე აქტივობები/სამუშაო პროცესი შეფასდეს

	დაგეგმვისა და განვითარების გზას;	განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); ✓ უცხოური ენების საშუალო საფეხურზე სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ იქნას რუბრიკები საშინაო დავალების და საკლასო შეფასებისთვის, რომელიც თანხვედრაში იქნება საგნობრივი სტანდარტის შეფასების ინდიკატორებთან.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში სასურველია, შუალედურ მიზნებში შემოქმედებითი ტიპის დავალებების მთლიანი პირობის ნაცვლად ჩაიწეროს იდეა, რომელშიც გამოიკვეთება ის პროდუქტი, რასაც მოსწავლე შექმნის.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში კათედრამ ცალკე დოკუმენტებად წარმოადგინა დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები და სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული დავალებების ნიმუშები, სასურველია დიფერენცირება ასევე ჩანდეს დაგეგმილ შუალედურ მიზნებშიც.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერების საშუალო საფეხურზე, სასურველია ინტეგრირებული პროექტის დაგეგმვის და განხორციელების დროს გაითვალისწინოთ: მკაფიოდ ჩანდეს თითოეულ საგანში მისაღწევი მიზნები დაგეგმილ აქტივობებში. სასურველია დაგეგმვით მრავალფეროვანი აქტივობები, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული. სასურველია მოეწყოს სასწავლო ვიზიტები (მუზეუმებში, ძეგლთა დაცვის სააგენტოში).

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები .

აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები N3.1.2.4 , N 3.4.1.1, 3.5.1.3 და 3.6.1.1 სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“. აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორები ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.

ინდიკატორი N3.4.1.2 სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილი შესაბამისი“, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ - ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **სკოლის მისიაა** სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით, პოზიტიური, უსაფრთხო და მამოტივირებელი სასკოლო გარემოს შექმნით ემსახუროს გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და ესთეტიკურად განვითარებული, ეროვნული ტრადიციების მატარებელი, გლობალურად მოაზროვნე, 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდას. **დაწესებულებას აქვს ხედვა**, 2031 წელს იყოს რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი და მზარდი სკოლა, რომელშიც ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარებისათვის. სკოლა მუდმივად იზრუნებს, ჩამოაყალიბოს ცოდნის მადიებელი მოქალაქე, რომელიც გლობალური აზროვნებისა და ღირებულებების საფუძველზე შეძლებს უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს.

სკოლას აქვს სურვილი, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: პატრიოტიზმი, ტოლერანტობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, დემოკრატიულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ფილოსოფიის შესაბამისად, სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემო მოსწავლისათვის, მასწავლებლისა და მშობლისათვის. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე. სასწავლო პროცესში გათვალისწინებული და პრიორიტეტულია მოსწავლის ინტერესი და უკუკავშირი, მიღებულია მათი წინადადებები და განსხვავებული მოსაზრებები. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, სასწავლო და სოციალური პროექტები სასკოლო საზოგადოების ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით. სკოლის ექიმი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნები სასკოლო საზოგადოებას უქმნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდას. სკოლაში შეთანხმებულად ზრუნავენ მოსწავლის უწყვეტ განვითარებაზე. სკოლა წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები, მშობლები და თემის წევრები; სკოლაში იმართება ეროვნული და საერთაშორისო დღესასწაულები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ თემის წარმომადგენლები. სკოლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფს განათლების მიღების და შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარ პირობას. სკოლას აქვს სრული მხარდაჭერა, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსების კუთხით, რაც მას საშუალებას აძლევს სკოლის მისიასა და და ხედვის შესრულება გახადოს რეალისტური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ- ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, განხილულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლის თანახმად შექმნილია სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; განხილულია მშობელთა კრებებზე, კათედრების

სხდომებზე და მოსწავლეებთან. წარმოდგენილი გამოკითხვის ფორმებით დასტურდება, რომ მუშაობის პროცესში სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფი ასევე ატარებდა სასკოლო გამოკითხვას სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დირექცია, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები) და ითვალისწინებდა მიღებულ უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი (ბრძანება N27 25.05.2023) კითხვარის საშუალებით აწარმოებდა გამოკითხვას თუ რა უნდა ყოფილიყო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოხდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება. აღნიშნულმა ჩართულობამ ხელი შეუწყო, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება გამოხატავდეს სკოლის იდენტობას და სასკოლო საზოგადოება სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით ხელს უწყობს იმ ღირებულებების განმტკიცებას, რომელიც სკოლისათვის პრიორიტეტულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე skolebi.emis.ge ასევე განთავსებულია სკოლის შესასვლელში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის საჯაროობა, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის მისია, ხედვა და ღირებულებები. სასკოლო სასწავლო გეგმა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. გასაუბრებისა შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის პედაგოგები და დირექცია აუღერებენ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს სასკოლო ღონისძიებებზე. სკოლაში განხორციელდა სახალისო აქტივობა მისიის, ხედვის, ღირებულებების საჯაროობისა და გაზიარების მიზნით. უფროსკლასელებმა გადაწერეს მისია თაბახის ფურცლებზე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა ნამუშევრები გააფორმეს და გაუზიარეს მშობლებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება (სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლა) შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ რუსთავის 25-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ - ქალაქ რუსთავის 25-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ - ქალაქ რუსთავის 25-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია საჯარო სკოლის დირექტორის 31.05.2023 წლის ბრძანება N28 შესაბამისად. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განხორციელდა SWOT ანალიზის საფუძველზე დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით და თანამშრომლობით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი აქტივობები პასუხობს სკოლის მიერ შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს. თითოეული აქტივობის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია ყველა ის შიდა და გარე ფაქტორი: შესაძლებლობები, საფრთხეები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც სკოლას ეხმარება პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 26.12.2023 წლის ოქმი N14-ით მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას. სკოლაში მომუშავე სამუშაო ჯგუფს გააზრებული აქვს სტრატეგიული გეგმის შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მნიშვნელობა. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სამოქმედო გეგმაში მოცემული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, რესურსები თანხვედრაშია სტრატეგიული განვითარების გეგმის მიმართულებებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- . სსიპ - ქალაქ რუსთავის 25-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სკოლის დირექტორის **31.05.2023 წლის ბრძანება N 28-ით**, მე-7 მუხლით გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხდება წელიწადში მინიმუმ ერთჯერ სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.
3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.
4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სსიპ - ქალაქ რუსთავის 25-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა პერსონალთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებული 11.05.2023), რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები; სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები დარეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (2023 წლის 7 სექტემბერი), რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის ხელშეწყობას, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლებას, თანამშრომელთა პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 11.05.2023 წლის N 22 ბრძანების საფუძველზე), სადაც განსაზღვრულია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, გათვალისწინებულია თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას,

ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა. პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 4 - საქალაქო 3.1.1

- სკოლის სტრუქტურა;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (საქმისმწარმოებელი, მენეჯერი, ბუღალტერი, ექიმი, მასწავლებლების ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი, მენტორი);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ბრძანება პერსონალის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი (14.09.2023 N56).

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით „ადამიანური რესურსების მართვის შესახებ“, დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (2023 წლის 7 სექტემბერი, ოქმი N 7). დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკას.

სსიპ- რუსთავის N25 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კათედრების პროფესიული განვითარება. ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ექნება საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა.

პერსონალის მართვის წარმატებული პრაქტიკა ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის შინაგანაწესს, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მართვა, ძირითადად, შრომით ხელშეკრულებებით განისაზღვრება. შრომით ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა. სკოლაში ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრული აქვს ის საკითხები, რომელიც აუცილებელია პროცესების ეფექტური ფუნქციონირებისათვის; აღსანიშნავია, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?
- საჭიროებების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა საჭიროების მიხედვით აცხადებს კონკურს კადრების შერჩევის მიზნით.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (17.11.2023.ბრძანება N91), რომლის ფუნქციაა მასწავლებელთა შიდა შეფასება, პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება და უკუკავშირის მიცემა. სკოლა გამოვლენილი საჭიროების

გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. ამ მიზნით სკოლას აქვს პრაქტიკა თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარების, ტრენინგების ჩატარებისა და მასწავლებელთა გადამზადების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში პერსონალის მიღება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპის, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სკოლაში ახალი კადრი შერჩეულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მათი მიღება ემყარება სკოლის საჭიროებებს. სკოლა ვაკანსიის გამოცხადებისას ეყრდნობა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ნ ბრძანებასა და შრომის კოდექსს. კონკრეტული ვაკანსიისთვის კი შეიმუშავენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კონკურსების გამოცხადების, ჩატარებისა და გასაჩივრების წესი და ვაკანსიასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის გამჭვირვალე. გარე კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საიტზე <https://teacherjobs.ge/>, ხოლო შიდა კონკურსი შესახებ - სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ 2020 წლის შემდეგ მიღებულ თანამშრომლებს ჰქონდათ ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. აღსანიშნავია, რომ სკოლამ კონკურსგარეშე, საბუნებისმეტყველო საგნის უსტატუსო მასწავლებელს 6 საათზე გაუფორმა ხელშეკრულება, როგორც მოწვეულ მასწავლებელს. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები: კათედრის სხდომის ოქმი, სადაც ჩანს, რომ საათების სავარაუდო განაწილების შემდეგ დარჩენილ 6 საათზე სკოლამ მიიღო საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს სტატუსი, თუმცა აქვს დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია და დადასტურებული აქვს საგნის კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვა.

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის პერსონალი აკმაყოფილებს დებულების მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლას ყველა დასაქმებულთან აქვს გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. ყველა თანამშრომლის პირადი საქმე წესრიგშია და შეიცავს საჭირო დოკუმენტებს. მათი პროფილი სრულად შევსებულია eschool- ის ბაზაშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სკოლას საჭიროებიდან გამომდინარე შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი. სტრუქტურულ ერთეულებში მაქსიმალურად არის პასუხისმგებლობები გადანაწილებული, ყველა სტრუქტურა გადაწყვეტილებებს იღებს გუნდურად და მასში გაერთიანებული თითოეული წევრი მაქსიმალურად მონაწილეობს კონკრეტული აქტივობებისა და პროცედურების განხორციელებაში. მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებაში წახალისებულია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდურობა. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ხდება სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების (სასკოლო გეგმა, ბიუჯეტი) ერთობლივად შემუშავება. გუნდური მუშაობასა და მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს ის, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას სკოლამ შექმნა კითხვარები, რომლის საშუალებითაც გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება. სკოლას აქვს კათედრათაშორისი თანამშრომლობის პრაქტიკა, ამაზე მეტყველებს ერთობლივად განხორციელებული პროექტები შემდეგ საგნებში: მათემატიკა და გეოგრაფია-პროექტები: „ტყის გაჩეხვა“ და „კულტურული ლანდშაფტები“. ქართული ენა და რუსული ენა, პედაგოგთან ერთად პროფორიენტაციის მიმართულებით დაიგეგმა და განახორციელდა პროექტი „პროფესიათა სამყარო“; უცხოური ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრებმა, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად, დაგეგმეს და განახორციელეს პროექტი „აღმოაჩინე მსოფლიო“; უცხოური ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების მიერ განხორციელდა პროექტი „აირჩიე პროფესია“ და სხვა. სკოლა ჩართულია ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო კონკურსში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში (მე-10 მუხლი).

მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:

- ✓ მადლობის გამოცხადება;
- ✓ სიგელის გადაცემა;
- ✓ ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ✓ ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
- ✓ დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა;

სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში მიღწევების, გამარჯვების, წარმატების აღიარება და წარმოჩენა ხდება სკოლის სოციალურ გვერდზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, სადაც საჯაროვდება მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 5- საქალაქო 3.1.2
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ბრძანება ხარისხის ჯგუფის შექმნაზე
კონკურსის მასალები
შინაგანაწესი
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით სკოლას აქვს შემუშავებული სკოლის ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დებულებით განსაზღვრულია, რომ ჯგუფის წევრების შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი, ასევე დოკუმენტში ვკითხულობთ ხარისხის ჯგუფის მიზანს, წევრების უფლება-მოვალეობებსა და საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრების მხრიდან სისტემატურად მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილზე დასწრება, მასწავლებლებისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა.

2024 წლის თებერვალში, პედაგოგთა საჭიროებების კვლევის მიზნით, მოხდა შეფასების ფორმების ანალიზი. ანალიზის შედეგად ხარისხისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებმა დაადგინეს, რომ პედაგოგების ძირითად ნაწილს უჭირს შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება. შემუშავდა კითხვარი, რომელიც პედაგოგებს შესავსებად გადაეგზავნათ 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში, გამოვლენილი პრობლემის/საჭიროებების მიხედვით დაიგეგმება ინტერვენციები, რომელიც აღნიშნული პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სკოლაში პრაქტიკას გადიან უნივერსიტეტის სტუდენტები.

პროფესიული განვითარების მიზნით, საჭიროებათა დადგენის შემდეგ, თანშრომლებს შორის ხდება წარმატებული პრაქტიკის, ახალი მიგნებების გაზიარება სხვადასხვა შეხვედრებსა და ვებინარებზე. ამ მიზნით მოხდა შეხვედრა რუსთავის მედეათეკაში. სკოლის მასწავლებლებმა კოლეგებს გაუზიარეს პრეზენტაციები თემაზე „შეფასების ინსტრუმენტები“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ შეფასდა.

3. სკოლა პერსონალს მუდმივი განვითარების შესაძლებლობას უქმნის და აღიარებს მის წარმატებას. ეს ხელს უწყობს მასწავლებლების ტრანზიციასა და მათ კარიერულ წინსვლას. სკოლის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ტრენინგებში, შეხვედრებსა თუ ფოკუს-ჯგუფების სამუშაო პროცესში. მასწავლებლები მონაწილეობენ USAID-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რომელიც ლიდერი მასწავლებლებისთვის იყო განკუთვნილი. ასევე რამდენიმე პედაგოგი თანამშრომლობს KEY CONSALTING-თან და აქტიურად ესწრებიან მათ მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო სამიტებს. სკოლის მასწავლებლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ პირველ ეროვნულ კონფერენციაში. მონაწილეობენ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

სკოლის პედაგოგები ქართულ-ესტონურ საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ ესტონეთში .

სკოლის დირექტორი მუდმივად ესწრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს და ზრუნავს როგორც საკუთარ, ისე თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით(მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებში) მკაფიოდაა განმარტებული და აღწერილი ის აქტივობები, რომელიც ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას უწყობს ხელს. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მას დამკვიდრებული წესებისა და ტრადიციების გაცნობაში, ათვალთვლებინებენ სკოლას, აცნობენ ფუნქცია-მოვალეობებს, მარეგულირებელ დოკუმენტებს. წარუდგენენ ახალ თანამშრომელს კოლეგებს, რთავენ სკოლის მიერ დაორგანიზებულ აქტივობებსა თუ ღონისძიებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ბოლო წლების განმავლობაში, საჭიროების შესაბამისად, ტრენინგი გაიარა არაერთმა მასწავლებელმა. მათ სკოლის ბაზაზე იზრუნეს კოლეგების განვითარებაზე და შესთავაზეს თანამშრომლებს ტრენინგები თემაზე: დიაგნოსტიკა-დიაგნოსტიკების ინსტრუმენტები და შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 6 - საქალაქო 3.2.1

- ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის ბრძანება
- სამუშაო შეხვედრის დოკუმენტი
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქალაქ რუსთავის N 25 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. მიმდინარე პროცესების შეფასება ხორციელდება ხარისხის მართვის ერთ-ერთ- გავრცელებული ციკლის (დაგეგმვა, განხორციელება, შეამოწმე, განავითარე) მიხედვით. მაგალითად ,შემუშავებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და გათვალისწინებულია მათი შესრულების მონიტორინგი და მომავალ დაგეგმვაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა; კურიკულუმის განვითარება, და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის მხარდაჭერის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), სკოლის თანამშრომლების კარიერული განვითარება მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც აღწერილია შრომით ურთიერთობის წარმოების წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლეების/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის

საფუძვლები. ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის სტრუქტურაში და სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის/მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომისა და სახდელების სახეები, სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მშობლისა და მოსწავლეების უფლებები და ვალდებულებები. შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში ტარდება და მათზე რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც სკოლაში დისციპლინური ნორმების დაცვით, გადაცდომების გამოვლენით, სახდელების დაწესებით სკოლის შინაგანაწესის დაცვის გარანტია. სასკოლო საზოგადოების მხრიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლებამოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დისციპლინური კომიტეტის ოქმები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები, რაც მოიაზრებს სამუშაო შეხვედრებს, სადამრიგებლო რგოლის მიერ დაორგანიზებულ მშობელთა კრებებს. სკოლაში შემუშავებულია ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი მექანიზმები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვებ გვერდის, სოციალური ქსელის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სკოლა ინფორმაციის მოსაწოდებლად იყენებს სოციალური ქსელების დახურული ჯგუფებს. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელი, ისე ელექტრონული ფოსტა და კითხვარები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სკოლის მართვის პროცესში. ეს ჩართულობა გამოიხატება მისი წევრების მონაწილეობით სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სამეურვეო საბჭოს არჩეული წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მართვის პროცესში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამარტივებასა და საჭირო ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლასა და მიწოდებას. სკოლის პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. სამეურვეო საბჭო თავის მხრივ ითანხმებს პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს, ამტკიცებს შინაგანაწესს და მასში შესატან ცვლილებებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ სკოლის დირექტორის მიერ მისია, ხედვა, ღირებულებებზე, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი დაკომპლექტებულია მშობელთა მონაწილეობით. მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ღონისძიებებისა და ექსკურსიების ორგანიზებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებობს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის ტერიტორია დაცულია უცხო პირთა გადაადგილებისგან. სკოლას ჰყავს სამი მანდატური, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ მოსწავლეთა უსაფრთხოებას და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. პასუხისმგებელი არიან მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, როგორც სკოლის შიგნით, ისე გარე პერიმეტრზე. სკოლაში დამონტაჟებულია 27 ვიდეო-კამერა (15 კამერა აკონტროლებს შიდა პერიმეტრს). სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს ორი დარაჯი. სკოლის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმები. სკოლის მიერ წარმოდგენილ სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტში (№ 27525-06-2024) აღნიშნული იყო, რომ სკოლის შენობის მე-2 სართულზე „სპორტ“-დარბაზთან, მოსაწყობი იყო საევაკუაციო გასასვლელი, საევაკუაციო გზის და გასასვლელის მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, ასევე, შენობის საევაკუაციო გზებზე ავარიული განათება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მტკიცებულებები, კერძოდ: ფოტო-მასალა, სადაც ჩანს, რომ სკოლამ აღნიშნული პრობლემები მოაგვარა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე ამჟამად, სკოლის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმები. მოწყობილია საევაკუაციო გასასვლელი, გზის და გასასვლელის მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. სკოლამ 07.06.2024 წელს მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან /ან სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილით. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და აღნიშნული ინდიკატორი დამაკმაყოფილებლად ჩათვალა.

უნდა ითქვას, რომ სკოლის შენობას ჩაუტარდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სრული რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის დაწყებამდე პროექტზე მუშაობის პერიოდში მოხდა სკოლის შენობის მდგრადობის შემოწმება. პროექტის ფარგლებში სკოლამ მიიღო შენობის მდგრადობის დასკვნა.

სკოლას მიეცა რჩევა „აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი საჭირო ინვენტარით, სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი. სკოლის ექიმი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის ექიმის ინიციატივით განხორციელდა სასკოლო პროექტი „ვარ 21 -ე საუკუნის მოსწავლე“.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ იყო საჭირო მედიკამენტები.

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 04.12.2014 მოახდინოს სკოლის სამედიცინო კაბინეტის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლას დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი (25.05.2023 წ. N26). სკოლას ჰყავს სამი მანდატური. მანდატურები ზრუნავენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე, მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. მანდატურები აკონტროლებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლის პერიმეტრზე განთავსებულია 27 კამერა. შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 15 კამერა. ყველა კამერა მუშა მდგომარეობაშია. სკოლის დერეფანში მორიგეობენ მორიგე მასწავლებლები. სკოლის შენობაში უცხო პირებისთვის გადაადგილება დასაშვებია საშვების მეშვეობით. პასუხისმგებელ პირს მონაცემები შეაქვს სპეციალურ ჟურნალში. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ტელეფონის ნომრები. მაგალითად 112, სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი, მანდატურის სამსახურის ნომერი და სხვა. შინაგანაწესში დაწვრილებითაა გაწერილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ და შეიმუშავებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; დამრიგებლები ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ტარდება საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა,

ოჯახში ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის განვითარებაზე. ყურადღება ეთმობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლას ჰყავს სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას გაფორმებული აქვს მათთან შესაბამისი ხელშეკრულება. დირექციის მიერ სისტემატიურად ხდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება, დარღვევების გამოვლენა და მისი აღმოფხვრა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი (ბრძანება N64 18.09. 2023წელი). სკოლაში არის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია ზიარდება სოციალურ ქსელში საჯაროდ მხოლოდ მშობელთა ნებართვით. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

სკოლას მიეცა რჩევა, აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



8. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- შენობის მდგრადობის დასკვნა.
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით-1400 მოსწავლით, ორ ცვლაზე. სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 790 მოსწავლე. სკოლა არის ახლად რეაბილიტირებული მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი 15 311 კვ.მ და სკოლის შენობის ფართი 2238.22 კვ.მ. (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სასადილო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ავტორიზაციით მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებებზე სრულფასოვანი განტვირთვა. სკოლაში ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, საკლასო ოთახებში განთავსებულია მინიმუმ 1 დაფა, სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ფიზიკის ლაბორატორია, ქიმიის ლაბორატორია, ბიოლოგიის ლაბორატორია, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი. სკოლას აქვს სპორტული ორი დარბაზი და გარე მოედანი. სკოლაში არსებული კომპიუტერების საერთო რაოდენობა არის 126 ცალი. სკოლის თანამშრომლებისთვის გამოყოფილია და დროებით სარგებლობაში გადაცემულია 54 კომპიუტერი (ლექტორი). კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 28 პერსონალური კომპიუტერი. სკოლის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 3 პერსონალური კომპიუტერი, 2 პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია რესურს ოთახში. სამასწავლებლოში განთავსებულია 6 პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს ორი შიდა სპორტული დარბაზი. ერთ-ერთი დარბაზი გაცემულია იჯარით. იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ დარბაზით სარგებლობა სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ დილის 9 საათიდან-3

საათამდე. ვიზიტის პერიოდში, სკოლის სპორტ-დარბაზში, საგაკვეთილო დროს არ ტარდებოდა სპორტის გაკვეთილი. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი და გარე სპორტული მოედანი.

სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული საპირფარეშოები. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი. სკოლის დერეფნებში მოწყობილი სიცრცეები გამოიყენება სხვადასხვა აქტივობებისათვის და დასვენებისთვის. სკოლის ეზო მოვლილი და გამწვანებულია. ეზო შემოსაზღვრულია და დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოება. დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მორგებულია როგორც ტიპური, ისე ატიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა შესაძლებლობასა და ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსითა და საერთო სივრცეებით სარგებლობის პირობებს, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერი ლაბორატორიით, რესურს-ოთახით, ბიბლიოთეკით, სპორტული ინფრასტრუქტურით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც შეიქმნა კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

წიგნადი ფონდი შედგება მხატვრული, სამეცნიერო, ლიტერატურის, ლექსიკონების, ფოტო და სამხატვრო ალბომების, სხვადასხვა თემატიკის ენციკლოპედიების, საბავშვო ლიტერატურისაგან. სკოლას აქვს სასკოლო გეგმით დამტკიცებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს საჭირო და საკმარისი რაოდენობა. სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნების დამუშავების, გატანისა და დაბრუნების პროცედურები არ ხორციელდებოდა სკოლის მიე დადგენილი მოთხოვნების მიხედვით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, მტკიცებულებები, საიდანაც დასტურდება, რომ სკოლამ აღნიშნული საკითხო მოაგვარა 30.09.2024-11.11.2024 ვადაში.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, წიგნების აღრიცხვა ხდება სარეგისტრაციო ჟურნალში. აღრიცხება წიგნების გატანა და დაბრუნება.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერით. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან ფორმდება წიგნების გადაცემის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია იმ პროექტებში, რომელიც წიგნიერებას უკავშირდება, მაგ.: წიგნის ჩუქების დღის აქტივობებში. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება ხდება მაკულატურაში გადაცვლილი წიგნებით. ყველა კლასი ჩართულია მაკულატურის შეგროვების პროცესში, საკლასო ოთახებში დგას ყუთები რომელშიც მოსწავლეები მაკულატურას აგროვებენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო გეგმით გათვალისწინებული ინკლუზიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს ასევე ფიზიკური გარემოს ინკლუზიურობაც. შენობაში შესვლა შესაძლებელია დამონტაჟებული პანდუსით. სკოლას აქვს ლიფტი. ყველა საერთო სარგებლობის სივრცე ხელმისაწვდომია შშმ პირებისთვის. საპირფარეშო ადაპტირებულია სკოლის სამივე სართულზე. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. სკოლის ეზო კი გამწვანებულია და წარმოადგენს რეკრეაციულ სივრცეს. სადაც შესაძლებელია სპორტული აქტივობების ჩატარება, დასვენება, გართობა, ველოსიპედებით სეირნობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ამ მიზნით არსებობს სივრცეები (სპორტული დარბაზები, გარე მოედანი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ეზო). სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით/ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ აქვთ დარჩენის, შეკრების, საუბრის შესაძლებლობა. სკოლის სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზები, ღია სპორტული მოედანი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განახორციელონ კულტურული, სპორტული, შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან და თემის სხვა წარმომადგენლებთან. მიმდინარე სასწავლო წელს



განხორციელდა სპორტული შეჯიბრებები, სააქტო დარბაზში კულტურული ღონისძიებები, სკოლაში პროფორიენტაციის ფარგლებში ტარდებოდა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ნახაზი (ელექტრონული)შეფასება:
 - მატერიალური და არამატერიალური რესურსების ექსპლუატაციის წესი

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არის WiFi. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის სკოლაში ვიზიტის პერიოდში WiFi -ის დაფარვის სიხშირე იყო ცვალებადი. დღის განმავლობაში ხშირად გაითიშა ინტერნეტი სკოლის მთელ ტერიტორიაზე, რამაც ხელი შეუშალა სკოლის გამართულ ფუნქციონირებას. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ინტერნეტის აღდგენის ვადად მითითებულია **12.11.2024 წელი**. ამასთან ერთად წარმოადგინა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი (**13/11/2024 წელი**), სიდანაც დასტურდება, რომ სკოლას აღუდგა ინტერნეტის მიწოდება.

. სკოლაში კომპიუტერების შემდეგი რაოდენობაა: მუშა მდგომარეობაში არის 42 პერსონალური კომპიუტერი; 6 კომპიუტერი მოთავსებულია სამასწავლებლოში, 1 ლეპტოპი დირექტორის კაბინეტში, 1 ლეპტოპი დირექტორის მოადგილის კაბინეტში, 1 კომპიუტერი საქმისმწარმოებელთან, 1 კომპიუტერი საინფორმაციო მენეჯერთან, 1 კომპიუტერი ბუღალტერთან, 1 ლეპტოპი ბიბლიოთეკაში და 28 კომპიუტერი კომპიუტერულ ლაბორატორიაში. 50 პედაგოგზე გაცემულია ლეპტოპები ინდივიდუალურად, დროებით სარგებლობაში.

სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, (11.06.2024 ბრძანება N28) რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე წვდომას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა. განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი და უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა. იდენტიფიცირებულია მოსწავლეები, რომლებსაც სახლში არ აქვთ წვდომა კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე და მათთვის, ისევე როგორც სხვა მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა. სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში ჩანს, რომ სკოლას იდენტიფიცირებული აქვს

საჭიროებები და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებით გეგმავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ციფრული განვითარების გეგმა
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი (11.06.2024 წლის N29 ბრძანებით დამტკიცებული). გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და აღნიშნული წესის დაცვით. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) - საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას (e-flow), როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. ასევე, სკოლა იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორცაა office 365 .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ შეფასდა.

4. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი საქმისწარმოების წესი
- ბრძანება N 29 საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

- სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
- ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს. სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი და დროულად ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს სკოლის ვებგვერდს skolebi.emis.ge –ზე, ელექტრონულ ფოსტას rustavi25@mes.gov.ge და Facebook ოფიციალურ გვერდს. სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ფეისბუქ გვერდის (სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ), ელექტრონული ჟურნალის, „თიმის“ საგანმანათლებლო პლატფორმის, სოციალურ ქსელში მშობელთა ჯგუფების, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც ჩამოყალიბებულია სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლაში ინფორმაცია ძირითადად შემოდის eflow-ში და ელექტრონულ ფოსტაზე. ელექტრონულ ფოსტაზე გარეშე პირისგან შემოსული ინფორმაცია ზუსტდება და მხოლოდ ამის შემდეგ ვრცელდება და ქვეყნდება. სკოლა ასევე ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების ოფიციალური ვებ და ფეისბუქ გვერდებიდან. შესაბამისად, მიღებული ინფორმაციის გასავრცელებლად სკოლა იყენებს აღნიშნულ გვერდებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; საჯარო სკოლის დირექცია/პედაგოგები უკუკავშირის იღბენ მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლატფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული არჩევითი საგნების არჩევის პროცესში, რაც დასტურდება გამოკითხვებით და ოქმებით. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების პროცესში. უკუკავშირის მიღება ხდება გამოკითხვის გზით. ასევე მშობელთა კრებებზე, სადაც მშობლები ეცნობიან მარეგულირებელ დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს და მათგან მიღებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდგომი ცვლილებებისთვის.

მოსწავლეების უკუკავშირი მიიღება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

სკოლაში წახალისებული და მხარდაჭერილია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წამოყენებული ინიციატივები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სკოლის მოქმედ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. გვერდი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამა/პროგრამების სახელწოდებები. გამოქვეყნებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა მიმდინარე წლის ბოლოს გამოაქვეყნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):



- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS) <https://bit.ly/4c8z2zf>)
- სოციალური ქსელი - სსიპ - ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლა | Rustavi | Facebook
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარები მშობლებისათვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეთათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლა ფინანსურად მდგრადია და აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს სკოლის საჭიროებები. სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები (მათ შორის ვაუჩერული დაფინანსების, ეკონომიკური შემოსავლებიდან

მიღებული თანხები), მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, კომუნალურ გადასახადებს, საოფისე ხარჯებს და სკოლის განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი. სკოლა მუშაობს SPA.ge ზე საკუთარი პორტალით, სადაც ატვირთულია შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმა შემუშავდება პასუხისმგებელი პირის მიერ გაწეული ბაზრის კვლევის გათვალისწინებით. სკოლას ანგარიში აქვს საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში და იყენებს ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
- შესყიდვების გეგმა
- სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლას ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ექიმი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. სკოლას შექმნილი აქვს რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობასა და ბავშვის უფლებების კონვენციას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც მოცემულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი (მუხლი 11), დისციპლინური დევნა (მუხლი 12), მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები (მუხლი 16), მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები (მუხლი 17), მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი (მუხლი 19), განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (მუხლი 22). სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამღების, მობილობისა, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ (02.10.2023 ბრძანება #222). სკოლას ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი (14/09/2023 წლის #35 ბრძანება) და დამტკიცებული აქვს რეფერალის წესი. სკოლა მკაცრად იცავს არსებულ რეგულაციებს. სკოლაში დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (ბრძანება #64, 18/09/2023). სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები

(14/09/2023 #58). სკოლაში დაცულია მოსწავლეთა პირადი საქმეები. მოსწავლეთა ჩარიცხვა, ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესს, უფლება-მოვალეობებს, თითოეული კლასის დამრიგებელი, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, აცნობს მოსწავლეებს. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ .გვერდზე ,იგი ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე, გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს დახურული ჯგუფი სოციალურ ქსელში, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ (02.10.2023 ბრძანება N222)
- . სკოლაში დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (ბრძანება N64, 18/09/2023).
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები (14/09/2023 N58)

- მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; სკოლას 18/10.2023 წლის N262 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ შეფასდა.

3. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბებს, წრეებს, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმით არის დადგენილი. სკოლას დამატებითი ფასიანი მომსახურების სახით მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქვს ფასიანი გახანგრძლივებული ჯგუფი.

სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი. სკოლაში იჯარით გაცემულ დარბაზში ფუნქციონირებს ტანვარჯიშის წრე. სკოლაში ყველა პროექტის, კლუბისა და თუ აქტივობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის fb გვერდზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე ეგზავნებათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს fb შიდა ჯგუფებში. ხშირად არის შემთხვევები, რომ კონკრეტულ პროექტსა თუ პროგრამაში ჩართვის წინ, ტარდება მშობელთა კრებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაცია გაზიარებულია დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებებზე, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები (18/10.2023 წლის N262 ბრძანება)
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- . სკოლის ვებ და fb გვერდები
- სადამრიგებლო გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმაჯობებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი; დირექტორის 02/10/2023 წლის N221 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლის, მშობლისა და ფსიქოლოგის როლს. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პირველკლასელთა მიღებას და მათი ადაპტაციის მხარდაჭერის აქტივობების განხორციელებას, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციას. სკოლაში, მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით იმართება საზაფხულო სკოლა. პირველ კლასში შემომსვლელი მოსწავლეები ზაფხულის განმავლობაში ერთვებიან სხვადასხვა აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ შეფასდა.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; მოსწავლეებს, მათ მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. დამრიგებლები მოსწავლეებს, მათ მშობლებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციას აწვდიან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებითაც. მოსწავლეები აკადემიურ მიღწევებს განიხილავდეს პედაგოგთან ან დამრიგებლებთან. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა. საშემოდგომო გამოცდის აუცილებლობის შემთხვევაში, მოსწავლეების კონსულტაციებით უზრუნველყოფა. სკოლაში ხორციელდება რემედიაციის პროგრამა. მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, შემაჯამებელი დავალების აღდგენა შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა უწევს ადმინისტრირებას ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ექსტერნის გამოცდებზე დარეგისტრირებულ პირთათვის, სკოლა ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს, ქმნის საგამოცდო კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლას ჰყავს რეფერალის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი, არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მხარდაჭერას, რაც დასტურდება სკოლაში განხორციელებული პროექტებით. სკოლაში ხდება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა; მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრისა და უცხოური ენების კათედრის ხელშეწყობით განხორციელდა პროექტი „აღმოაჩინე მსოფლიო“, მოსწავლეთა ინიციატივით სასკოლო საზოგადოება დაეხმარა შეჭირვებულ ოჯახს; საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა ფეხბურთის ტურნირი „განხორციელდა სასკოლო პროექტი „ჩემი სკოლა - ჩემი სახლია“; პროექტი „დებატები“; სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელდა პროექტი „გზა საქართველოს დამოუკიდებლობიდან ევროპისაკენ. პროექტში

სამივე საფეხურის მოსწავლეები მრავალფეროვანი აქტივობებით ჩაერთნენ. მოსწავლეთა ინიციატივით დიდ დასვენებაზე სკოლის შენობაში ჟღერს მუსიკა. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მომსახურებას; ყოველ წელს სკოლის დირექციისა და კათედრების მიერ ტარდება მოსწავლეების, მშობლების გამოკითხვა ანკეტირების, კითხვარების საშუალებით. ხდება მიღებული მონაცემების ანალიზი და შესაბამისად სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებებში ხდება საჭირო ცვლილებების დაგეგმვა/განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 02/10/2023 წლის N221 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- ბრძანება N 32 მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები
- მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელებული პროექტები
- მშობლების გამოკითხვა მოსწავლეთა მომსახურებასთან/სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- პროექტი „გზა საქართველოს დამოუკიდებლობიდან ევროპისაკენ“.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

